

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

## ო კ მ ი №9 (რიგგარეშე)

ქალაქი ფოთი

5 აპრილი, 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია

ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: აკაკი დარჯანია, პაატა ჩაგანავა, სამსონ კუტალია, სევერიანე შენგელია, ზურაბ ჩაჩუა, ფრიდონ კვარაცხელია, ნინო მიმინოშვილი, ირაკლი დუნდუა, მალხაზ ბუკია, გიორგი შამუგია, ოთარ ხარჩილავა, თამაზ სოსელია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა  
და ქონების სამსახურის უფროსი

- ვასილ თოდუა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

- ინგა გიგებერია

საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები

საზოგადოების წარმომადგენლები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მე-9 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომაზე განსახილველ საკითხთა

ნ უ ს ხ ა:

5 აპრილი, 2017 წელი

1. “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მე-9 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომაზე განხილულ საკითხთა  
ნ უ ს ხ ა:

5 აპრილი, 2017 წელი

1. “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსი/

/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ინგა გიგბერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ბიუროს მე-10 (რიგგარეშე) სხდომაზე მიღებული საკრებულოს მე-9 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ.

/მომხს: ალექსანდრე თოფურია - საკრებულოს თავმჯდომარე/

დღის წესრიგის პროექტში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

1. “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვას: საკრებულოს წევრმა ნინო მიმინოშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-9 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1. “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5 აპრილი, 2017 წელი.

მოისმინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხს: ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა  
და ქონების სამსახურის უფროსი/

/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვას: საკრებულოს წევრმა ირაკლი დუნდუამ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 იანვრის №1/1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (თან ერთვის).

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

5 აპრილი, 2017 წელი.

მოისმინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

/მომხს: ინგა გიგიბერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული  
სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა  
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვას: საკრებულოს წევრებმა ირაკლი დუნდუამ, მალხაზ ბუკიამ, თამაზ სოსელიამ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (თან ერთვის).

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

განცხადებები

საკრებულოს თავმჯდომარემ - ალექსანდრე თოფურიამ - საკრებულოს წევრებს შეახსენა, რომ მ/წლის 27 თებერვალს საკრებულოს მე-6 მოწვევის სხდომაზე საკრებულოს წევრმა ირაკლი დუნდუამ შემოიტანა წინადადება ქალაქში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით, 2017 წლის მარტის თვის გეგმიურ სხდომაზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოწვევის თაობაზე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ამონაწერი სხდომის ოქმიდან 2017 წლის 28 თებერვლის №2-05/73 მომართვის შესაბამისად გაეგზავნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ირაკლი კაკულიას. აქამდე სხვადასხვა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების გამო ვერ მოხერხდა სამსახურის უფროსის გამოცხადება დღემდე გამართულ საკრებულოს მე-7 და მე-8 მოწვევის სხდომებზე.

დღევანდელ სხდომაზე საკრებულოს წევრთა თხოვნით გამოცხადდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ბატონი ზურაბ ჯამბურია, სამსახურის სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა ამომწურავი პასუხი გაეცეს ყველა იმ შეკითხვებს, რაც საკრებულოს წევრებს გააჩნიათ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა ზურაბ ჯამბურიამ გააკეთა მოკლე ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რაც ქალაქში ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება. მან ამომწურავი პასუხი გასცა საკრებულოს წევრების ირაკლი დუნდუას, გიორგი შამუგიას, ოთარ ხარჩილაშვილს, თამაზ სოსელიას, სევერიან შენგელიას შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის გრანდიოზულ პროექტს, კერძოდ სანაპირო ზოლზე გარე განათების ბოძების ხარისხის, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სმარტის მშენებლობის, ასევე სტადიონის კეთილმოწყობის საკითხებს. ყურადღება გაამახვილა აგრეთვე რიონის სანაპირო ზოლზე მიმდინარე კონსტრუქციების მშენებლობაზე, ასევე მეგრელიშვილის ქუჩაზე ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირების მოწესრიგებაზე და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობაზე, ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ქუჩებზე გადასავლელი (ზებრების) განახლებაზე და ნაგავშემკრები ყუთების დამატებაზე.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ სამსონ კუტალიამ აღნიშნა, რომ დამატებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შემთხვევაში უფრო ეფექტური გახდება შესრულებული სამუშაოები, გაიზრდება მისი მოცულობა და ხარისხი.

და ბოლოს, საკრებულოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე თოფურიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულების შესაბამისად და საკრებულოს მიერ დღეს დამტკიცებული დადგენილების საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 4660.4 ათასი ლარით, შევიდა ცვლილებები 2017 წელს მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების კუთხით განსახორციელებელ სამუშაოებში, უმეტესად თანხები მიმართული იქნება საკრებულოს წევრთა მიერ დღეს დასმული საკითხების გადაწყვეტისათვის.

გამოეთქვამთ რწმენას, რომ ზემოთაღნიშნული მნიშვნელოვნად აისახება სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია